ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის

"წესდება"

ბათუმი

2016წ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
"სკოლა–ლიცეუმი მასტერკლასის"
სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/15
ქ. ბათუმი,
„01„ „აპრილი„ 2016 წ

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის წესდების დამტკიცების თაობაზე“

ვხელმძღვანელობ რა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის სკოლის წესდება დანართი 1-ის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანების და წესდების გაცნობა თანამშრომელთათვის დაევალოს დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში ინდირა ანანიძეს. მანვე უზრუნველყოს აღნიშნული შინაგანაწესის გამოკვრა სკოლის საჯარო სივრცეში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას.
3. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.N30) მისი ოფიციალური გაცნობიდან 30 დღის ვადაში.

სკოლა–ლიცეუმი მასტერკლასის
სკოლის დირექტორი
ნანი [illegible]

დანართი 1

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება "სკოლა–ლიცეუმი მასტერკლასი" (შემდგომში – "სკოლა"/"სკოლა-ლიცეუმი") დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და უფლებამოსილია განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. "სკოლა–ლიცეუმი" უფლებამოსილებას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 18 აგვისტოს N148 გადაწყვეტილებით.

1.2. "სკოლა" – სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და მოიცავს ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებს.

1.3. "სკოლა" თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ამ წესდებით, სკოლის შინაგანაწესით, მოსწავლის ქცევის კოდექსით, მასწავლებლის ეთიკის კოდექსით, დირექტორის ეთიკის კოდექსით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სხვა ნორმატული აქტებით.

1.4. დასახულ მიზნებსა და დაკისრებულ ფუნქციებს სკოლა ახორციელებს სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებში. იგი საკუთარი სახელით იძენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ.

1.5. "სკოლის" ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას მოქმედი კანონმდებლობით ახორციელებს სკოლის დირექტორი.

1.6. სკოლას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, არა უმეტეს ორი საბანკო ანგარიში და იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სხვა ატრიბუტიკა.

მუხლი 2. სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

2.1. სკოლის მიზნებია:

ა) შეუქმნას ყველა მოსწავლეს თანაბარი პირობები თანამედროვე მოთხოვნების მქონე დაწყებითი, საბაზო და საშუალო განათლების მისაღებად.

ბ) დაეხმაროს მოსწავლეს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიზნების მიღწევაში.

გ) უზრუნველყოს მოსწავლისათვის სათანადო გარემოთი საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა თუ მიდრეკილებების გამოვლენისა და განვითარებისთვის.

საქართველო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება GEORGIA "SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS" LTD 245546734

დ) უზრუნველყოს მოსწავლე ინფორმაციის მოპოვებისა და იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად, რომლებიც მას დასჭირდება მთელი ცხოვრების განმავლობაში.
ე) მოსწავლეებში ლიბერალურ–დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლება–მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.
ვ) შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობები, რომ მან სწორად აირჩიოს თავისი მომავალი განვითარების გზა (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში).
ზ) მისცეს მოსწავლეს საშუალება, მიაღწიოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით გათვალისწინებულ შედეგს.
2.2. სკოლის ფუნქციების და საქმიანობის საგანი:
ა) განახორციელოს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობა;
ბ) უზრუნველყოს თანამდეროვე, ადაპტირებული, ხელმისაწვდომი ინფრასტურქტურული გარემო სწავლებისთვის;
გ) ხელი შეუწყოს კვალიფიციური კადრების მოწვევას სწავლებისთვის;
დ) აღჭურვოს სკოლა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

მუხლი 3. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართვის ორგანოები

3.1. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და მმართველ ორგანოებს მოიცავს დამფუძნებელთა საბჭო, სკოლის დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი.
3.2. სკოლის ფუნქციონირებისთვის არსებობს მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების სამსახურები, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქციით.
3.3. სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში დასაშვებია შეიქმნას მმართვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეული დამოუკიდებელი უფლებით ან მოხდეს მასზე უფლებამოსილების დელეგირება.

მუხლი 4. დამფუძნებელთა საბჭო

4.1. სკოლის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა საბჭო, რომელიც შედგება ოთხი დამფუძნებლისაგან.
4.1.1. დამფუძნებელთა საბჭო:
ა) უწევს ზედამხედველობას სასწავლო, საორგანიზაციო, შემოქმედებით, სამეურნეო და ფინანსურ საკითხებს;

ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს სკოლის დირექტორს;
გ) აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;
დ) დამფუძნებელთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს ასევე გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც ამ წესდებით არ მიეკუთვნება სხვა სტრუქტურის უფლებამოსილებას;
ე) შეიმუშავებს სამუშაო მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიის დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის მიერ შესასრულებელ სამუშაოს 1 ან/და 6 წლის მანძილზე.
4.2. დამფუძნებელთა საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია სხდომაზე, დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია სხდომა დაიხუროს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხთან დაკავშირებით იმართება განმეორებითი კენჭისყრა იმავე ან მომდევნო სხდომაზე. ხმების კვლავ თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს სხდომის თავმჯდომარე.
4.3. დამფუძნებელთა საბჭოს სხდომა იმართება საბჭოს წევრის ან დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე. საბჭოზე განსახილველი საკითხის შესახებ სხდომის მოწვევის ინიციატორი საბჭოს წევრებს აცნობებს არანაკლებ ერთი დღით ადრე. საბჭოს სხდომებს ჩვეულებრივ თავმჯდომარეობს შპს „სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის“ დირექტორი, თუ დამფუძნებელთა საბჭოს წევრების უმრავლეობის გადაწყვეტილებით სხვა რამ არ იქნა მიღებული.
4.4. დამფუძნებელთა საბჭოს სხდომა ფორმდება შესაბამისი სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დამფუძნებელთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე და წევრები.

მუხლი 5. სკოლის დირექცია

5.1. სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეებისა და ბუღალტერისგან.
5.2. დირექტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით დაკისრებული აქვს სკოლის მართვა-გამგეობა.
5.3. სკოლის დირექტორად შეიძლება გამწესდეს პირი, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას, აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს. დირექტორი თანამდებობაზე ინიშნება უვადოდ თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული.
5.4. სკოლის დირექტორს ჰყავს მოადგილე (ან მოადგილეები). დირექტორი დანიშვნიდან 2 (ორი) კვირის ვადაში ნიშნავს მოადგილეს/მოადგილეებს. ახალი დირექტორის დანიშვნა იწვევს წინა დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების შეწყვეტას.
5.5. სკოლის დირექტორი:
ა) ახორციელებს სკოლის მმართვას;

GEORGIA, "SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS" LTD
245546734

ბ) წარმოადგენს სკოლას ადმინისტრაციულ ორგანოებთან და მესამე პირებთან ურთიერთობებში, გარდა შრომითი ხელშეკრულებით და სკოლის წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა;
გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს საშტატო განრიგს;
დ) მონაწილეობს პედაგოგიური საბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით უზრუნველყოფს მასწავლებლებთან და სკოლის სხვა დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას;
ვ) უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს მასწავლებელს და სკოლაში დასაქმებულ პირს შრომითი ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების ან/და შინაგანაწესის დარღვევის, სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენის ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არაკვალიფიციურობის დადასტურებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
ზ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, დამფუძნებელთა საბჭოსთან შეთანხმებით;
თ) ამ წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილი ფორმით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;
ი) ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო–სააღმზრდელო პროცესს;
კ)დამფუძნებელთა საბჭოსთან შეთანხმებით, ამტკიცებს სკოლის წესდებას;
ლ) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს;
მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.
5.6. დირექტორი საქართველოს კანონმდებლობით, სკოლის წესდებით, შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში გამოსცემს ბრძანებას.
5.7. სკოლის დირექტორი ვალდებულია:
5.7.1. დაიცვას სკოლის თანამშრომელთა, მოსწავლეთა ინტერესები, იზრუნოს უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისათვის, დაიცვას ეთიკის ნორმები მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობაში.
5.7.2. დაიცვას სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის ნორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საფუძველია დირექტორის მიმართ საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისა.

მუხლი 6. სკოლის პედაგოგიური საბჭო

6.1.სკოლის პედაგოგიური საბჭო არის სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანო, რომელშიც შედის სკოლის ყველა პედაგოგი.
6.2. პედაგოგიური საბჭო მოიწვევა სკოლის დირექტორის, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ან/და პედაგოგიური საბჭოს ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე.

SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS LTD GEORGIA 245546734

პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

6.3. პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

6.4. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

6.5 პედაგოგიური საბჭო:

6.5.1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმას;

6.5.2. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

6.5.3. დირექტორთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;

6.5.4. ირჩევს მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორს.

მუხლი 7. მოსწავლეთა თვითმმართველობა

7.1. მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს.

7.2. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობას.

7.3. მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობაში ირჩევენ თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.

7.3.1. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველოს არჩევნები ტარდება სასწავლო წლის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

7.3.2. მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნების ჩატარების თარიღს ნიშნავს სკოლის დირექტორი;

7.3.3. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა თვითმმართველობაში თითოეული კლასის მოსწავლეთა თითო წარმომადგენელს ირჩევს, მომდევნო სასწავლო წელს მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე;

7.3.4. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს, შესაბამისად, საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს;

7.3.5. საბაზო და საშუალო საფეხურების თითოეული კლასის მოსწავლე ხმას აძლევს ერთ კანდიდატს, შესაბამისად, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომელიც შესაბამის კლასში მეტ ხმას მოიპოვებს;

7.3.6. მოსწავლეები, რომელთაც სურთ არჩეულნი იყვნენ საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობაში, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის კოორდინატორთან არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 (სამი) დღით ადრე.

7.4. თვითმმართველობის წევრები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში საკუთარი რიგებიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ შესაბამისი საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას.

7.5. მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციებია:

7.5.1. შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით;

7.5.2. უფლებამოსილია სკოლის დირექტორს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით;

7.5.3. სკოლის წესდებით დადგენილი წესით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობს მოპოვებული გრანტის განკარგვაში;

7.5.4. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნის სასკოლო კლუბებს.

7.5.5. საშუალო საფეხურზე ირჩევს თავის წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში.

7.6. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება სწავლის შეწყვეტის ან საშუალო საფეხურის დასრულებისთანავე.

თავი III. დისციპლინური კომიტეტის შექმნის წესი

მუხლი 8. დისციპლინური კომიტეტი

8.1. დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით აირჩევა დისციპლინურ კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედის პედაგოგი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 6 წევრით.

8.2. დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მოწვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით.

8.3. პედაგოგიური საბჭო დამსწრეთა უმრავლესობით, 1(ერთი) წლის ვადით, ირჩევს დისციპლინური კომიტეტის წევრებს. დისციპლინური კომიტეტის წევრობის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:

ა) სკოლის დირექტორს;

ბ) დამფუძნებელთა საბჭოს;

გ) პედაგოგიურ საბჭოს;

დ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას;

ე) მშობელს.

GEORGIA. "SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS" LTD
245546734

8.4. დისციპლინური კომიტეტის პედაგოგი წევრები აირჩევიან პედაგოგიური საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლეოსობით, მაგრამ არანაკლებ პედაგოგიური საბჭოს წევრთა 1/3.
8.5. დისციპლინური კომიტეტის მოსწავლე წევრები აირჩევა მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების 1/3.
კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:
ა) სკოლის დირექტორს;
ბ) დამფუძნებელთა საბჭოს;
გ) პედაგოგიურ საბჭოს;
დ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას;
ე) მშობელს.
8.6. დისციპლინური კომიტეტის მშობელი წევრები აირჩევა მშობელთა კრების მიერ, გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.
კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს:
ა) სკოლის დირექტორს;
ბ) დამფუძნებელთა საბჭოს;
გ) პედაგოგიურ საბჭოს;
დ) საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობას;
ე) მშობელს.
8.7. არჩეული კანდიდატები წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად, დირექტორი ვალდებულია სამი სამუშაო დღის ვადაში გამოსცეს შესაბამისი ბრძანება.
8.8. დისციპლინურ კომიტეტზე გადაწყვეტილება მიიღება დისციპლინური კომიტეტის მოქმედ წევრთა სრული შემდადგენლობის უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დისიციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის ხმას.
8.9. დისციპლინური კომიტეტი ყოველი ახალი საკითხის წინ, ფარული კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც დისციპლინურ კომიტეტს ხელმძღვანელობს წარდგენილი საკითხის განხივლის დასრულებამდე.
8.10. დისციპლინური კომიტეტი აირჩევა 2 (ორი) წელიწადში ერთხელ, ერთიდაიგივე პირი არ შეიძლება კომიტეტში ორჯერ იქნეს არჩეული.
8.11. დისციპლინური კომიტეტის წევრს ვადაზე ადრე უფლებამოსილება შეიძლება შეუწყდეს:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) გარდაცვალება;
გ) უგზო–უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად გამოცხადება;
დ) სკოლასთან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში;
ე) და სხვა გარემოება რაც გამორიცხავს უფლებამოსილების შესრულებას.

GEORGIA. "SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS" LTD
245546734

თავი IV. სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა.

მუხლი 9. სკოლის ფინანსები

9.1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სკოლას, როგორც კერძო სამართლის იურიდიულ პირს საქართველოს კანონის შესაბამისად და კანონმდებლობის წესით განკარგავს მის მფლობელობაში არსებულ ქონებას.

9.2. სკოლას საკუთრებაში აქვს მოძრავი ან/და უძრავი ქონება, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

9.3. სკოლის ბალანსზე რიცხული ქონების ნუსხა განისაზღვრება შესაბამისი ინვენტარიზაციით. ინვენტარიზაციის ჩატარების წესი და პერიოდი დგინდება სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. სკოლის საქმიანობაზე კონტროლი

10.1. სკოლის საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლს ახორციელებს დამფუძნებელთა საბჭო.

10.2. დამფუძნებელთა საბჭოს თანხმობას საჭიროებს სკოლის მიერ შემდეგი ქმედებების განხორციელება:

ა) უძრავი ქონების შეძენა, სკოლის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება და ვალდებულებით დატვირთვა;

ბ)სესხის აღება/გაცემა;

გ)თავდებობა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობას.

10.3. დირექტორი უფლებამოსილია გადაცემული სკოლის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს სხვა პირს, გაასხვისოს მისთვის გადაცემული ქონება, შრომითი ხელშეკრულებისა და წესდების შესაბამისად.

10.4. დამფუძნებელთა საბჭო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სკოლის დირექტორის უკანონო ან ამ წესდებასთან წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილება.

მუხლი 11. სკოლის ფინანსები

11.1.სკოლის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს ვაუჩერული დაფინანსება და მოსწავლის მშობლის (კანონიერი წარმომადგენლის) მიერ სწავლის საფასურის გადახდა.

11.2. სკოლის ხარჯების ანაზღაურება ხდება სკოლის ბიუჯეტიდან.

11.3. სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით,

GEORGIA "SCHOOL-LYCEUM MASTERCLASS" LTD
245546734

თუ ეს საქმიანობა არ აბრკოლებს სასწავლო პროცესს სკოლაში. მიღებული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.
11.4. სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში.

მუხლი 12. ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა

12.1. სკოლის დირექტორი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება და დასამტკიცებლად წარუდგინოს დამფუძნებელთა საბჭოს.
12.2. სკოლის თანხებს განკარგავს სკოლის დირექტორი დამფუძნებელ საბჭოსთან შეთანხმებით.
12.3. სკოლის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი პირი.

მუხლი 13. სახელმწიფო კონტროლი

13.1.სკოლის მონიტორინგს ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას, ეფექტიანობას, ხოლო საფინანსო-ეკონომიურ საქმიანობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო.
13.2. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აწვდის ვაუჩერის ხარჯვის ანგარიშის შესახებ ინფორმაციას.
13.3. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ რეგიონულ ორგანოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობის ანგარიშს დადგენილი ფორმის მიხედვით.
13.4. მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია. სკოლა მაკონტროლებელ ორგანოს ინფორმაცია უნდა წარუდგინოს არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.

თავი V. სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. სკოლის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი.

მუხლი 14. სკოლის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია

14.1. სკოლის რეორგანიზაცია ან/და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით:
ა) თუ სკოლის საქმიანობა ანტიკონსტიტუციურია;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.2. სკოლის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებელთა საბჭოს წევრთა აბსოლიტური გადაწყვეტილებით.
14.3. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება დამფუძნებლთა საბჭოს წევრებს შორის.

მუხლი 15. სკოლის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

15.1.სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანომდებლობით დადგენილი წესით.